21-ს იანვარს ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. 1884 წელსა.

მწყემსი

№ 2.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ᲮᲣᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ნახევარი წლისა — ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

გაზეთის ფულის დ. ᲙᲝᲕᲔᲚᲓ გვარი ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ“ რედაქციაში, დაბა ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘ. *Въ мѣстечко Шорапани. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡ. რედაქტორის საკუთარს სახლში.

ᲣᲕᲔᲚᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ᲒᲠᲪᲚᲐᲓ და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი და თუ ავტორთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: განჩინება უწმიდესის სინოდისა.—სემინარიაში შესასვლელი ეგზამენების მოსმობა.—ანდრია პირველ წოდებული (ისტორიული ზოგმა).—სამღვდელოების ᲒᲐᲜᲒᲝᲛᲐᲠᲔᲑᲐ რუსეთში.—სხვა Დ სხვა ამბები Დ შენიშვნები.—ᲣᲪᲮᲝᲣᲚ გაზეთთა მიმოხილვა.—სიტყვა, თქმული იერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ.—ანდრია პირველ წოდებულის ცხოვრება Დ წამება.—კალენდარული ცნობები.—განცხადებანი

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲐ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘᲡ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡᲐ.

9—18 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲛ 1883 ᲬᲚᲘᲡᲐ № 2510 ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲙᲣᲠᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲨᲐᲒᲘᲠᲓᲗᲐ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲝᲥᲐᲖᲘᲡᲐ ᲛᲔᲑᲠ ᲯᲘᲡᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲦᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲔᲚᲔᲡᲛᲐ ᲮᲘᲜᲝᲓᲛᲐ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲝᲬ. ᲮᲘᲜᲝ-ᲓᲘᲡ ᲝᲑᲔᲠ-ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡᲐ 1-ს ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲛ 1883 ᲬᲚᲘᲡᲐ № 5971, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲗᲐᲪ ᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲝᲬᲛᲘᲓᲔᲡ ᲮᲘᲜᲝᲓᲡ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲩᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ 26-ᲡᲐ ᲓᲦᲔᲡᲐ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ 1883 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲐᲓ ᲘᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲝᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘᲡ ᲮᲘᲜᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ 19—29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲛ ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡᲐ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲗᲮ-ᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲡᲐᲠᲬᲛᲝᲕᲐ: ᲝᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘᲡ ᲮᲘᲜᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ 19—29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲓᲐᲛ ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲐᲠᲡ: 1) ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ Დ ᲔᲒᲖᲐᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲔᲑᲨᲘ ᲝᲗᲮ-ᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲘᲡᲯᲝᲡ; ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲗᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐᲔᲑᲘᲗ; ᲐᲛ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲝᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ: ᲦᲘᲠᲡᲘᲐ თუ არა სემინარიის პირველ კლასში მიღებისა წარმადგენელი მოწმობისა, რომელთა

შინა უნდა იყოს გამოყვანილი, თუ როგორ სწავლობდა მოწაფე ყველა საგნებს (გარდა ეკკლესიური გალობისა დ҃ წერისა თანახმად Ⴓწმიდესის Ⴑინოდის განჩინებისა 1—12 მარტიდამ 1883 წლისა), 2) იმ შემთხვევაში, როდესაც მისაღები შაგირდების რიცხვი აღემატება სემინარიაში ვაკანსიების რიცხვს, სემინარიის სამმართველოს მიენიჭება უფლება განიხილოს მოწმობაები ყველა მისაღებ მოწაფეთა დ҃ უპირატესობა მისცეს მიღებაში ისეთ მოსწავლეთა, რომელნიც, სხვებთან შედარებით უმჯობესნი იქმნებიან სწავლით დ҃ ყოფაქცევით. 3) იმ შემთხვევაში,როდესაც ღირსნი სემინარიაში მიღებისა მეტი იქმნებიან დ҃ ცარიელი ადგილი არ აღმოჩნდება სემინარიაში, სემინარიის სამმართველოს შეუძლია, დადგენილის წესებისამებრ, იშუამდგომლოს პარალელური განყოფილებაების გახსნა სამღვდელოების ხარჯით, რამდენიც საჭირო იქმნება. 4) თუ სემინარიის სამმართველომ შენიშნა, რომ რომელიმე სასწავლებელში სწავლის საქმე ცუდად მიდის ანუ რომელიმე სასწავლებლის შაგირდები რიგიანად არ არიამნ მომზადებულ, რომლისაგან დაინახება სწავლის საქმის დაცემა ამა სასწავლებელში, ანუ სემინარიის სამმართველო შენიშნავს სუსტუტათ მოპყრობას ბალების დასმაში კურს შესრულებულთა, რევიზიებს გარდა რომლებსაც ნიშნავენ სასულიერო სემინარიის სამმართველონი თანახმად (§) 32 სასწავლებლის წესდებისა, მიენიჭებათ მათ უფლება გამოარჩიონ თვის შორის ერთი ანუ ორი პირი სასწავლებლებში ეკზამენებზე დასასწრებლად, რომელთაც ექმნებათ ხმა. იმისთანა მოწაფეები, რომელნიც სასწავლებლის სამმართველოსაგან იქმნება ცნობილი არა ღირსად სემინარიაში მიღებისა დ҃ მშობელთა სახლებში მოემზადებიან დ҃ შეისრულებენ რაც, აკლდათ, შემდეგ სემინარიის მთავრობას შეუძლია მიუშვას ისინი ეკზამენის დასაჭერად ერთად იმისთანა პირებთან, რომელნიც შინაურულად იქმნებიან მომზადებულნი, ანუ სხვა საერო წოდების სასწავლებელთაგან ისურვებენ სემინარიაში შემოსვლას. წინათვე ჯეროვანის განკარგულების მოხდენამდის ორთა პირველთა მუხლთა ამა განჩინებისათა, მიენდოს უ. Ⴓწმიდესის Ⴑინოდის ობერ პროკურორს გამოითხოვოს Ⴓმაღლესი Ⴋისი Ⴈმპერატორებითი Ⴃიდებულების ნებართვა. ბ რ ძ ა ნ ე ს: განცხადებულ უმაღლეს ნებართვაზე დ҃ აღმოწერილ სპრავკაზე სახელმძღვანელოდ სასულიერო სასწავლებელთა დ҃ სემინარიებთ სამმართველოთა დ҃ საყოველთაოდ გამოსაცხადებლად ეცნობოს „ცერკოვნი ვესტნიკ"-ის რედაქციას, ჩვეულებისამებრ.

არა ოფიციალური ნაწილი.

სასულიერო სემინარიაში მისაღები ეკზამენების მოსპობა ოთხ კლასიან შაგირდებთათვის.

Ბევრი წერა და ლაპარაკი იყო ამდგარი რუსულ სასულიერო და საერო ჟურნალ-გაზეთებში იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიებში კურსის დასრულების შემდეგ მინიჭებოდათ ისეთივე უფლებანი, როგორიც აქვსთ მინიჭებული, დიდი ხანია, საერო წოდების სასწავლებლებში მოსწავლეთა. როდესაც ვინმე ოთხ-კლასიან პროგიმნაზიას ათავებს, მოწმობით მიდის გიმნაზიაში და გამოუცდელად, მარტო ატესტატით, მიიღებენ მას. აგრეთვე როდესაც გიმნაზიის კურს ასრულებს მოსწავლე, აძლევენ მას ატესტატს; ამ ატესტატით კურს შესრულებულნი მიდიან პირ-და-პირ უნივერსიტეტში და გამოუცდელად იღებენ მათ მაღალ სასწავლებლებში. რიგიც სწორეთ ასეა. ერთ ადგილას გამოსცადეს კაცი რამე საგანში და გამოჩნდა, რომ საგანი კარგად შესწავლილი ჰქონებია. რაღა საჭიროა მისი ხელმეორედ გამოცდა ორი თვის შემდეგ? ნუ თუ ორ თვეში დააივწყდა მას ის, რაც რვა წელიწადში შეუსწავლია!

Ამისთანა წესი სუფევდა და სუფევს ყველა საერო წოდების სასწავლებლებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს სასულიერო წოდებაში ამისთანა წესების შემოღება კანონის დარღვევათ მიაჩნდათ აქნობამდის. ბაათავებდა თუ არა ოთხი კლასის კურს, მოსწავლე, იჭერდა მშვენიერად ეკზამენს და იღებდა ატესტატს. მაგრამ ეს ატესტატი მას ვერ შველოდა, რომ სემინარიაში უეკზამენიოთ მიეღოთ. ოთხ კლასში კურს შესრულებული მიდიოდა სემინარიაში აგვისტოს თვის დამლევს ეკზამენის დასაჭერად. მოხდებოდა ხშირად, რომ რომელიმე უბრალო მიზეზებისა გამო რჩებოდა მიუღებელი და უკან ბრუნდებოდნენ იმ დროს, როდესაც ყველა სასწავლებლებში სწავლა დაწყებული იყო და შაგირდების მიღებაც მოსპობილი. ამისთანა წესებისაგან მრავალი ნიჭიერი პირის გონება დახშობილა და გაფუჭებულა სამუდამოდ; ამას გარდა ნივთიერათაც დიდი ზარალი მისცემიათ.

Ერთ ბოლოს დროს ზოგიერთთა პირთა გამოიგონეს ერთი საშუალება, რომლისაგან, ცოტა არ იყო, მოსწავლეებს საღავათი ეძლეოდათ. სასულიერო სემინარიებში საეკზამენიოდ იბარებდნენ ივნისის პირველ რიცხვებში, მაშინვე, როგორც ოთხი კლასის კურს ათავებდნენ. მოსწავლეები, თუ ეკზამენს ვერ დაიჭერდნენ სემინარიაში მიღებისას, სხვა სასწავლებლებში შესვლის და ეკზამენების დაჭერის დროს მაინც არ ეკარგებოდათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ წესმაც დიდი სარგებლობა ვერ მოიტანა. მიიღეს სემინარიაში ისეთები, რომელთაც ატესტატში ცუდი შენიშვნები ჰქონდათ სწავლაში, არ მიიღეს ისეთები რომელნიც კარგად სწავლობდნენ სასწავლებელში. მომხდარა ისეთი შემთხვევაც, რომ არ მიღებულა ზოგიერთი მოსწავლე, რადგან მისი პირის სახე არა კეთილ საიმედო სახეთ მოსჩენებია ხოლმე გამომცდელს...

Ახლა სასიხარულოდ, ყოველთა სამღვდელო პირთა, მოისპო ეს წესიც და დაწესდა ის წესი, რომელიც თუთხმეტი წელიწადია სუფევს საერო წოდების სასწავლებლებში. ამიერიდგან განმეორებითი მისაღები ეკზამენები სემინარიაში შესასველელად მოსპობილია. ყველას შეუძლია მარტო ატესტატით იქმნეს მიღებული ოთხი კლასის კურსის შესრულების შემდეგ სემინარიაში.

Კანონი, როგორც სხვა ყველა, ისე ეს ახალი კანონიც, რასაკვირველია, ძლიერ კარგი და მოსაწონია, მაგრამ საქმე ის არის, როგორ აასრულებენ ამას ზოგიერთი სასწავლებლების სამმართველონი. თუ ატესტატის მიღება ძლიერ გაუძნელეს მოსწავლეებს და ცოტა მიზეზებს გამოეკიდნენ, რასაკვირველია, ბევრს დაეხშობა გზა მაღალ სასწავლებლებში შესვლისა დაბალი სასწავლებლებიდამ. ვაი თუ გაძნელდეს მოწმობებში ჩაწერა სიტყვებისა: „ღირსი არს პირველ სემინარიის კლასში გადაყვანისა" რომელსაც ახალი უქაზი ითხოვს სასწავლებლის სამმართველოთაგან, როგორც სემინარიის პასუხის-გებით სემინარიის სტუდენტების გაგზავნა არის გაძნელებული აკადემიებში!

Იმერთმან ჰქმნას, რომ სამღვდელოების მოლოდინი არ გაემტყუნებიოსთ ოთხ კლასიან სასწავლებელთა სამმართველოებს.

Ეს განკარგულება შეეხება მარტო ოთხ კლასიან მოსწავლეებს, მაგრამ სემინარიელების უეკზამენოდ მიღებაზე აკადემიებში ჯერ ჯეროობით არაფერი განკარგულება არა სჩანს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სემინარიელებსაც მიენიჭებათ ეს უფლება.

ანდრია პირველ-წოდებული.

ისტორიული პოემა.

(ვუძღვნი მაღალ-ღირს არხიმანდრიტს გრიგოლს)

I.

ჴვიდ-თავას და შვიდ ხელას
ქართლის გამომსახველად
ბოჩო-კერპს აღმერთებდენ
ჩვენი მამები ძველად.
ჰქონდათ შიში და რიდი
ქანდაკის ძლიერების
და სიტყვებიც სჯეროდათ
მისის ქურუმ-ბერების.
როცა ქურუმი ვისმეს
დასდებდა რამე ბრალებს,
მაშინ ბოჩოც მრისხანედ
უუვრიალებდა თვალებს;
ხან მუცლით იძახოდა,
ხან დააქნევდა თავსა;
და თრთოლაში მოჰყავდა
ხალხი ამ სანახავსა.
მსხვერპლი მსხვერპლზედ მიჰქონდათ,
გულით ევედრებოდენ!..
ბოჩო ბოჩოთ რჩებოდა...
ქურუმნი მსუქდებოდენ.
მრავალმა საუკუნემ
განვლო შეურყეველად,
არვის ბოჩოს ღმერთობა
არ ჰქონდა საეჭველად.
სანამ არმაზ-ძლიერი,
სპარსეთით გადმოსული,
არ შეეტაკა ბოჩოს
უზომოთ გულ-მოსული.
მისის თანა-ღმერთებით
მოედო საქართველოს;
მაღალ მთებზედ აგებდნენ
ბომონებს სამლოცველოს!
ერთი სამცხის გორაზეც
იყო ამაღლებული
და მისი ქურუმებიც
თვალით-მაქცობით ქებული.
ანბობდენ რომ „მათ სადგურს.
გარედან კი ვხედავთო,
მაგრამ შიგ ფეხის შედგმას
შიშით ვერა ვბედავთო,
რადგანაც ავსილია
მადლითა და ძალითო
და ჩვენ იმ საიდუმლოს
ვერ ვიხილავთ თვალითო;
მხოლოდ გვესმის შიგნიდან
რაღაც ხმაურობაო,
თვითქოს ღმერთებს ყოველ-ღამ
აქვსთ საღმრთო სტუმრობაო!“
მართალს ანბობდა ერი
ესმოდათ ღამით ხმები,
მაგრამ ღმერთების ნაცვლად
ილხენდენ ქურუმები!..
ერთხელ ჩვეულებრივად
სუფრა იყო გაშლილი;
გარს უსხდენ ქურუმები
სანოვაგით ავსილი.
რაც იმ დღეს კერპებისთვის
შეეწირა ერს მსხვერპლად,
რიგ-რიგისად დაეწყოთ
იმ სუფრაზედ უკლებლად.
სჭამდენ შეექცეოდენ
ერთად გულ-მადიანად;
ზედ ღვინოს აყოლებდენ
იმღერდენ ტკბილ-ხმიანად.
ერთმა მთავარ-ქურუმმა
კათხას მოავლო ხელი
და უთხრა მერიქიფეს;
„მოიტა ძველის ძველი
და პირამდე ამივსე
ჩემი კათხა რჩეული!..
ვინც რომ არ გამოსცალოს,
იყოს წვერებ წყეული.
მჭვირვალი ლალის წვენი
სულ-ხორცივით ტკბილია!..
სიმართლეც ამაშია...
სხვა სუყველა ტყუილია!..
შენთანა ვარ ზარფუშო!
ნეტავ, რათ მოგწყენია?
სანამ ქვეყანა ბრმაა,
ეს სოფელიც ჩვენია?
შესვი გამხიარულდი
არ გადაჰყვე ოცნებას
და მით არ ულალატო
ქურუმთა მაღალ მცნებას!“
ზარფუშ ერქვა ერთს მათგანს
მემანქანეს კერპების;
ის იყო სიქადული
და სიმტკიცე იმ კრების.

სამანქანო მის ქცევას
ვერ ასწრებდა ვერ ვინ თვალს;
უჩინრად მოქმედობდა
არ სტოებდა გზა და კვალს.
ქურუმთა უხუცესის
იყო მარჯვენა ხელი
მისი მესაიდუმლე,
მისი თანა მძრახველი
და ამან სთქვა პასუხად:
,,ქურუმთა უხუცესო,
კანონია ის ჩვენთვის,
რაც უნდა დაგვიწესო!
რაც ბრძანეთ, ყველამ ვიცით,
არის ჩვენი ხელობა,
მაგრამ გვმართებს ხან და ხან
წინა-გამჭვრეტელობა.
ვაი თუ ჩვენს დიდებას
ერთხელ ბოლო მოეღოს
და რაც დღემდი კმაროდა,
ერს აწ ის ადარ ეყოს.
მართალია ბოჩოზედ
მან გული აიყარა,
მაგრამ გულ-მხურვალებით,
ვერც არმაზს შეეყარა.
ასე ანბობს: ,,რომ ბოჩო
არ გამოდგა ღმერთიო!..
ეგებ მეორეც სტყუა,
თუ სტყუოდა ერთიო!..
ეჭვი ერს გვიორგულებს;
შემცირდა სამსახური,
რაკი ჩვენს სასწაულებს
შეაჩვიეს თვალ-ყური.
დრო არის გამოვსცვალოთ
ჩვენის ხერხის საგანი
და უჩვენოთ ერს რამე
უჩვეულო მანქანი!''
ააშფოთა ამ სიტყვამ
მაშინ მთელი კრებული
და ერთმანეთს უმზერდენ
ცუდათ ჩაფიქრებული.
მხოლოდ თავარ ქურუმი
არ იმჩნევდა ამ სიტყვებს;
აგდებულის ღიმილით
უყურებდა განზედ სხვებს.
მოძმების რეგვენობა,
თვითქოს ერცხვინებოდა
და თანაც მათ სიფრთხილეზე
გულით ეცინებოდა.

მერე სთქვა: ,,თქვენი ბრალი!
რა ცოტაზედ სწუხართო,
ისევ გამხიარულდით,
მოწყენილი ნუ ხართო!
ულოდნელმა სიტყვებმა,
როგორ დაგაღონათო?
მაგას მე არ ვფიქრობდი,
განა თქვენ გეგონათო?
მაგრამ ადვილი არის
მაგის გასწორებაო
და მაგისთვის მანქანი
სულ არ მეჭირვებაო.
თვალი არისო ამ საფულად
კაცის მოქმედებაო:
ზედი-ზედ რასაც ნახავს
ყველა მოსწყინდებაო.
ნახული აქვს სუყველას
ჩვენი სასწაულიო
და რადას გაიკვირვებს
ერთხელვე ჩვეულიო?
მაგრამ მე სულ სხვა გვარად
დავიმონებ ერსაო,
დაუდებ გამოცანას
მის ჭკუის საფერსაო.
გაზდილი მყავს, თქვენც იცით
საოცარი გველიო
არ ვინ არის გარეშე
იმისი მნახველიო.
შემოვახვევ სამსხვერპლოს
ცხოველთ მულაპავ ბუასო
და ურჩს ჩვენის ნებისას
ის ასწავლის ჭკუასო.
მის უცნაურ გაჩენას
ღმერთებს დავაბრალებო
შვილებს მსხვერპლად მოვითხოვ,
მშობლებს გავამწარებო.
და როცა სინანულში
ჩავარდება ერიო
მხოლოდ მაშინ გაქრება
გველიც მათი მტერიო''.
ეს სიტყვები მალამოთ
გულში მოხვდათ ცბიერებს
შვებით აცმაცურებდენ
ულვაშებსა და წვერებს.
მაჯლს და ქებას უძღვნიდენ
მოხერხებულ უფროს ძმას
და ეძლევოდენ ისევ
უზომო ჭამას და სმას.

II.

ახალ-გაზდა მზეჭაბუკი
შვენებაა ამ სოფლისა;
უფლის წული, დედის ერთა
ჩვენი სამცხის დედოფლისა.
დედის ძუძუთ გაზდილია;
ნანატრივით ბედნიერი!..
თავს ევლება დედოფალი
და შეხარის მთელი ერი.
მათ სამთავროს სვე და ბედი
იმის კალთა უბეშია!
დიდისა და პატარასთვის
თანასწორი ნუგეშია!...
ყველა უყვარს!.. ყველას უყვარს,
საზოგადო მოსიამე,
ლხინი არის სასახლეში
გაუსხლეტლათ დღე და ღამე.
მაგრამ დღეს კი უჩვეულო
სხვა რაღაცა ანბავია:
აღარც როკვა, არც ღრეობა,
აღარც ტკბილ ხმა საკრავია.
იმათ ნაცვლად გამოისმის
გოდება და მოთქმა ზარი!
ოდას მეხი დასცემია,
დამქცევი და შემაზარი.
სასახლის წინ დედა წულით
მოუყრია თავი ერსა;
ჩამოწყვეტილ გულ-საკინძით
იგლეჯს თმას და ულვაშ-წვერსა.
გლოვის ნიშნად გულ საზაროთ
აძახებენ საყვირ-ბუკსა
და ტირილით უყივიან,
უძახიან მზე-ჭაბუკსა.
მაგრამ მათი ეს გოდება
აღარ ესმის უფლის წულსა
უძრავად და უსულდგმულოდ,
შავ კუბოში ჩადებულსა.
თავს ადგია დედა მისი
გულ-ღია და თმა გაშლილი;
ჯერ კიდევ არ ემეტება
სასიკვდილოდ მისი შვილი.
ხან ეხვევა, ხან აკოცებს,
სათუთ სიტყვებს ეუბნება,
თვითქოს უნდა ხელ-მეორედ
მითი სულის ჩაბრუნება.
ეუბნება; ,,შვილო! შვილო!
ნუ ეძლევი ხანგრძლივ ძილსო!
შენებურათ გაუცინე
დედას შენზედ დაღრეჯილსო!
შენს ერთგულებს ხმა გაეცი,
უალერსე ჩვეულადო!..
გმართებს მათი მასპინძლობა!..
თავს გადგიან წვეულადო!..
მზე-ჭაბუკის გახარებამ
არ შეგშვენის ეგ უოფაო!
რაც იხუმრე კმარა შვილო,
დედას ისიც ეყოფაო!‘‘
ნაღვლიანი დედის სიტყვა
გულ საკლავად ესმის კრებულს,
მაგრამ რა ქნან ვერ შველიან
ჭირის-უფალს გამწარებულს.
მაშინ წარსდგა დედოფლის წინ
ქვრივი ვინმე კადნიერი
და უანბო ისეთი რამ,
რომ გაკვირდა მთელი ერი:
დედოფალო! ჩემს სახლში სდგას
ერთი ვინმე უცხო ტომი,
კაცის შვილის მოყვარული,
ყველასათვის კარგის მდომი.
ღმერთად ანბობს ვიღაც ქრისტეს.
აღიარებს მხოლოდ ერთსა
და იმის მეტს სულ არად ხდის
ქვეყნიერად არც ერთ ღმერთსა.
თანვე დააქვს ფიცარი რამ
ქალია ზედ დახატული.
თვით უოფილა მისი შვილის
მოწაფე და მოციქული.
ანბობს: ,,მის ღმერთს ვინც იწამებს,
მაღლით ნათელს მიაფენსო;
საუკუნო უკვდავებას
მისცემს მკვდრეთით აღადგენსო!,,
გაცოცხლება მკვდრების ეგებ
მოწაფემაც კი იცოდეს.
მიბრძანეთ და მე მოვიყვან,
თუ გსურსთ, რომ ის აქ მოვიდეს.‘‘
კაცის თავზედ თუ სტრიალებს
უკულმართი ბედის წერა,
გინდ საეჭვოც რამე უთხრან
სანუგეშოთ, მაინც სჯერა.
ქვრივის სიტყვა იმ კრებაში
არავინ არ დაიჯერა,
მაგრამ დედას კი იმედმა
გული ტკბილათ აუძგერა.

და მკურნალის მოსაყვანად
მოციქულებს ატანს თან ქვრივს,
აბარებს რა მასთან სიტყვებს
შესაბრალსა და დედობრივს.

III.

სდგას დედოფალი სარკმელთან მენჯად
და სულს უგუბებს მას ჭმუნვის ალი,
რეტ დასხმულივით გამოშტერებულს,
გზისკენ უჭირავს მღელვარეს, თვალი.
დარბაისლებიც, მის შემხედავი,
თანგრძნობის ნიშნად სდგანან მდუმარე
და მოხუც დედებს, გულ ლმობიერებს
ცრემლები სცვივათ ღვარად მდუღარე.
კეკლუც-ქალებიც მკურნალს უცდიან,
თუმც არ ელიან მის სასწაულებს,
და მარტო მხოლოდ უცხო ტომობა,
ცნობის მოყვარეთ უღელავს გულებს.
გარედამ რაღაც უჩვეულო ხმის
ხრიალი ისმის, იღება კარი
და ულოდნელად მისის დამქაშით
სახლში შემოდის ქურუმთ-მთავარი;
ოქრო ქსოვილით ტან შებურვილი
ეჟვნებს სხვა და სხვა ხმით აჟღრიალებს
და უეცრობით შემკრთალსა კრებულს
ის უბრიალებს მრისხანეთ თვალებს.
ანბობს: ,,უგნურნო და უმეცარნო!
როგორ ივიწყებთ დიდებულ ღმერთებს?
განა არ იცით რომ მათი რისხვა
მაგ კერძო საჯელს თქვენც გაგიერთებს?
ჩვენს მარხვა-ლოცვას უნდა მადლობდეთ,
რომ გიგზავნიან მხოლოდ იმ ერთ გველს
და არა მრავალს, რომ შემოარტყან,
თქვენ ჩასანთქელად, ირგვლივ მთელ-სოფელს.
როგორ გაივლეთ ან გუნებაში,
რომ ჩვენს ღმერთებზედ აიღოთ ხელი
და მათ სანაცვლოდ ღმერთად იწამოთ,
ტანჯული, ვიღაც ნაზარეველი?
თვით სხვებისაგან მკვდარს და მის მოწაფეს
სხვისი საშველი ვინ მისცათ ძალა?
აბა მოვიდეს და გამოცხადდეს
ვიღაცა არის ის მაწანწალა!..
თვითქოს ესელოდ რაღაცა ძალამ
ამ დროს კარები შემოამგვრია
და გამოცხადდა საყოველთაოდ
იქ მოციქული წმინდა ანდრია.

ღარიბ სამოსლით მგზავრად ჩაცმული,
არ ბრწყინავს ძვირფას სამკაულებით:
ხელში უპყრია ხატი ღვთის-მშობლის,
თავ ქუდ მოხდილსა, ფეხზედ ხალმებით.
მშვენიერისა სახის სიმშვიდე,
ციურის ძალის გამომეტყველი
და მის თვალების სიბრძნისა სიღრმე,
სარწმუნებელი და უეჭველი.
მჭვრეტელს ხიბლავენ უნებლიეთად
უცნაურისა რაღაც ძალითა
და სოფლის ღელვით, ურვილსა სულსა
ანუგეშებენ მომავალითა.
შეკრთა ქურუმი და ახალ მოსულს
ვერ გაუმართა კრებულმა თვალი;
გაკვირდა ერი და იმავე დროს
მის წინ დაემხო თვით დედოფალი.
და შეევედრა: ,,გეტყობა რომ ხარ
ამ ქვეყნიერად დიდი მკურნალი
და გამიცოცხლე ეს მკვდარი! მაზე
გამოიჩინე ეგ შენი ძალი.
და სასყიდელსა რასაც კი მომთხოვ
შესაძლებელსა ამა სოფლიურს
მეც აგისრულებ სიამოვნებით,
ამაზედ სიტყვას გაძლევ დედოფლურს!“
,,საბრალო დედავ! სთქვა მოციქულმა—
მე, ჩემდა თავად, არა მაქვს ძალი
და ქვეყნიერად იმას ვასრულებ
რასაც მიბრძანებს მაღლით უფალი.
ის რომელმაც სთქვა: ,,თუ უეჭველი
კაცსა გულში აქვს სასოებაო,
მაშინ იმისის სიტყვა სურვილით
მაღალი მთებიც აიძრებაო.“
აი ეს არის იმისი დედა
წმინდა მარიამ ქალწულ-მშობელი
და ვინც იწამებს იმის ძეს ღმერთად,
მისი ძლიერი შუამდგომელი“.
გადიხარხარა ქურუმთ-მთავარმა
და დაიძახა: ,,თქვენი მკურნალი,
როგორც ეტყობა ლაპარაკიდან,
ან გიჟი არის და ანუ მთვრალი:
თვარა ამ სიტყვებს განა იტყოდა
ადამიანი გონება მრთელი?
ყურს როგორ უგდებთ? არ გეკადრებათ!..
გააგდეთ კარში ვიღაც სულელი!..
ვსთქვათ, რომ დედოფალს უბედურებამ
ნაღვლით და შხამით მოურწყო ვნება
და შეურყია მცირე რამ ხნობით
საქვემდებარო ჭკუა-გონება,

მაგრამ თქვენ მაინც, დარბაისლეპნო,
როგორ იწამეთ გლახის სიტყვები
და საორგულო ჩვენის ღმერთების
ასმინეთ ყურთა საზარი ხმები,
მისი ვინც ასე შეუშოვრობით
არაფერად აგდებს ჩვენს ძლიერ ღმერთებს
და მათ სანაცვლოდ გვპირდება იმ ღმერთს
რომელიც ვითომც, მთებს ათამაშებს.
ხა! ხა! ხა! ხა! ხა!.. თუ სხვებს აცოცხლებს,
თვითონ რათ მოკვდა სხვისგან ტანჯული?
და ან დარიბათ ასე რათ დადის
მისი მოწაფე და მოციქული?''
სთქვა მოციქულმა: ,,ვინცა შენსავით
გადაყოლია უკეღმართ-ვნებას,
ის ვერცა გრძნობით და ვერც გონებით
ვედარ მისწვდება ღვთიურ გონებას.
ძე ღმრთისა, ქვეყნად მოვლინებული,
ჩემი მოძღვარი, ნაზარეველი,
სამსხვერპლოდ მთელის კაცობრიობის,
თვისის უმანკო სისხლის მთხეველი,
წმინდა საკურთხად წინა განძრახვით
მისათვის იყო ის მოვლენილი,
რომ იმ სიკვდილით მას დაეთრგუნვა
სამარადისო ჩვენი სიკვდილი!
ამაღლდა ზეცად და მოწაფეთა
სამოციქულო გადმოქვცა მცნება,
რომლის ძალითაც კერპთ-მსახურება
ისე გაქრება ვითა ოცნება''.
სალმრთო გაბრძნობით მოსაუბრესა,
შესჩერებიან გაკვირვებული;
თუმცა გონება მათი ვერა სჭრის,
მაგრამ სიმართლეს გრძნობს მაინც გული.
და დედოფალიც წმინდა მოციქულს
შეჰვედრის მაღალ ხელ აპყრობილი
და ეუბნება: ,,ვიწამებ შენ ღმერთს
თუ გასცოცხლდება ეს ჩემი შვილი!''
,,ჩვენც თანახმა ვართ! კარგი სიტყვაა!''
—დაცინვით ანბობს ქურუმთ-მთავარი—
,,აჰა ბერთვი და ჰა მოედანი!..
ჰე მაგის ძალა და აჰა მკვდარი!
თუ გააცოცხლებს მაშინ ვიწამებთ
და აღვიარებთ იმ ნაზარეველს,
და თუ ვერა და, მაშინ ეგ თვითონ
უნდა მიეცეს მსხვერპლად ბუა-გველს!''
—,,მაშ გამეცალეთ! სთქვა მოციქულმა—
ნუდა დარჩებით აქ ნურცა ერთი!..
დედაც გავიდეს!.. მარტო დავრჩები
და მომიმართავს ხელს ჩემი ღმერთი!''

გადის კრებული და მკვდართან მარტო
რჩება ანდრია, ადელვებული;
რაღაც უცნაურ და უჩვეულო
სასოებითა ევსება გული.
იმსჭვავლის მისი მთელი არსება
ციურის ძალით, სახე მღელვარებს
და თვალებს რაღაც ღვთიურის ცეცხლით
შთაგონებულად ის აელვარებს.
ასვენებს ხატს და მის წინ მუხლ მოყრით,
გულში მძრახველი, სდგას ის მდუმარე
და სპეტაკ წვერებს ვით აიაზმა,
ზე ესხურება ცრემლი მდუღარე.
თვალწინ ეხატვის დიდი მოძღვარი,
სოფლიდან სოფლად სიმდაბლით მსვლელი
და ხშირად წიაღ იორდანისა
უკვდავებისა მქადაგებელი.
იგონებს: ქვეყნად მის მოვლინებას
ხორციელ ვნებას, ზე ამაღლებას
და შემდეგ მისთა მოციქულთადმი
მინიჭებულსა მადალ უფლებას.
მით ალი სალმრთო ძლიერებისა
სრულად უკარგავს ხორციულ ეჭვებს;
შეამდგომლობას სთხოვს ყოვლად წმინდას
და სასწაულსაც მისგან სასოებს
მიდის მცხედართან და ღვთის-მშობლის ხატს
ათრთოლებული ადებს სახეზე;
ხელს ჰკიდებს მკვდარს და თანავე სცდილობს,
წამოაყენოს როგორმე ზეზე.
და აჰა!.. ჰოი საკვირველებავ
მკვდარი ინძრევა, თვალებსაც ახელს
და ჯერ-უფერულ შემკრთალ სახეზედ
გამოსარკვევად ნელა ისვამს ხელს.
ერთი შეკრთომა შეკრთა ანდრია,
მაგრამ მოეგო ისევ გონებას
და მადლს სწირავდა მისის მაცხოვრის
მიუწთომელსა მაღალსა ნებას.
წამოჯდა მკვდარი, მიმოიხედა
და სთქვა: ,,რა ტკბილი იყო ეს ძილი,
შენ ვინ ხარ, რომ აქ თავზედ მადგეხარ?
არ უნდა იყო ამ ქვეყნის შვილი?
დიახ, მგზავრათ ვარ თქვენში მოსული
უცხო ტომის და უცხო ქვეყნელი;
იქედამ ვარ სადაც ჯვარს აცვეს
ღმერთი იესო ნაზარეველი.
ის იყო ჩემი დიდი მოძღვარი
მე მის მოწაფე და მოციქული
და აღდგინება შენებრივ მკვდართა
მისგან მაღლით მაქვს მინიჭებული

როგორ თუ ,,მკვდართა'' განა მე ვიყავ
მკვდარი და შენ კი მე აღმადგინე!..
არა, მე მახსოვს, რომ ერთხელ უცბათ
გრძნობა დავჭარგე და დავიძინე.

კიდეც ეგ არის კაცის სიკვდილი,
მაგით თავდება ჩვენი სოფელი
და თუ შენ ღმერთი არ შეგწეოდა
დღეს მოგელოდა საფლავი ბნელი

აი ეს არის დღეს შენი მხსნელი
მის ძის წინაშე შეამდგომელი.
დედაა მღვთისა და ამის ძეა
ძე ღვთისა ქრისტე ნაზარეველი.

თვით დედოფალმა ის აღიარა;
სამარადისოდ იწამა ღმერთად
და მანაც მკვდრეთით შენ აღგადგინა
მის ძლიერების ერთ მაგალითად.

იწამე შენცა და მოგენიჭოს
ამიერიდამ მადლი უფლისა:
იქ ნეტარება სამარადისო
და სიხარული ამა სოფლისა.

ესმის სიტყვები, თუმცა ჯერ კიდევ
ვერ არკვევს აზრებს უფლისა წული,
მაგრამ რაღაცა მას უჩვეულო
სიტკბოებითა ევსება გული.

და ნიშნად მეტის ნეტარებისა
ცრემლებს ღვრის გრძნობით ვეღარ იდებს ხმას
და მოციქულსა ასე შეყურებს
როგორც დამხსნელს და საკუთარ მამას

ხმაურობაა, გარეთ ჰყვირიან:
,,რაღას გვიანობს მოციქულიო!
დრო არის ახლა რომ დაგვანახოს
თუ შაუძლია სასწაულიო.

მაშინ გავიდა მათთან ანდრია
და გაიყვანა თან უფლის წული:
შეშინდა ერი, და ძირს დაეშვნა
თაყვანის ცემით, ზარ დაცემული.

შეჭკივლა დედამ და მუაშურა,
გულში ჩაიკრა გიქურად შვილი
და მომეტებულ სიხარულითა
გულ მოსაოხი იწყო ტირილი

ჭურუმთ მთავარმა, რა დაინახა
ძირს დამხობილი შემკრთალი ერი,
რომ თავის თავი გადაერჩინა,
ძირს ემხობოდა თვითონც, ცბიერი.

დედებმაც ერთ-ხმად დასძახეს გრძნობით:
,,კურთხეულ იყოს წმინდა ანდრია!..
და ის ძლიერი მისი მოძღვარი,
რომელსაც სისხლი ჩვენთვის უღვრია!''

ღმერთი ის არის რომელიც ქვეუნად
ამ გვარად აჩენს დიდ სასწაულებს
და არა ისა, რომელიც ჩვენგან
მსხვერპლად თხოვილობს უმანკო შვილებს!..

დედაკაცების ამ გვარ სიტყვებმა
მამაკაცებიც მოიყვანეს გონს;
დაიგრიალა ერთ პირად ერმა
და მიაშურა კერპების ბომონს.

უარ ჰყო მან ის რაც წინათ სწამდა
უშიშრად მედგრად შელეწა კარი
და სადაც ძველი კერპები იდგენ.
იქვე ამართა მან წმიდა ჯვარი.

აკაკი.

სამღვდელოების მდგომარეობა ოსეთში.

ამისთანა ბნელ და გაუნათლებელ კუთხეებში, როგორიც არის ოსეთი, სამღვდელო პირთა, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვსთ. დიდი ხანი არ არის, რაც ოსებმა ქრისტიანობა მიიღეს; ჯერ ეხლაც თითქმის ნახევარი ნაწილი ოსებისა მაჰმადიანნი არიან, და თვით იმ ნაწილსაც, რომელიც ქრისტიანად იწოდება, ქრისტიანული არა ეტყობა რა. რასაკვირველია, აქ სულიერს მამებს ძალიან დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ. დრომდე თავი დავანებოთ ჩრდილოეთ' ოსეთს (თერგის ხეობისა) და ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა სამღვდელოების მდგომარეობაზე გორის მაზრის ოსეთში.

ჯთელი გორის მაზრის ოსეთი, რომელშიაც 20.000 მცხოვრებზე მეტია, გაყოფილია ორს საბლაღოჩინოდ: ჯავისა და ოკრტევისა. მარტოკა ამ ორს ბლაღოჩინს აქვსთ გათავებული სემინარიის კურსი, სხვა მღვდლები კი ზოგნი ნადიაკვნარნი არიან, და ზოგნიც სასულიერო სასწავლებლიდამ გამორიცხულნი ან ცუდყოფაქცევისთვის და ან ზარმაცობისათვის. რასაკვირველია, ამისთანა მღვდლებს, რომელთაც სრულიად ოსური ენა არ იციან, არავითარი მნიშვნელობა არა აქვსთ ოსეთში, სადაც მღვდელმა თვეში ერთხელ მაინც უნდა უქადაგოს ხალხს და სხვა...

ს. ჯავაში ბლაღოჩინად დაინიშნა ამას წინედ ერთი, მართლაც რომ, პატივცემული მამა ზურაბ ჯიოშვილი. მამა ზურაბი ძალიან ენერგიული კაცია და ყოველთვის დიდ დღესასწაულებში წარმოსთქვამს ხოლმე ეკკლესიაში კათედრიდამ, ანუ გარეთ „ნიხასზე“ (კრებაზე), მშვენიერ სიტყვას ოსურ ენაზე. ღმერთმა ჰქნას, რომ მამა ჯიოშვილმა შემდეგშიც არ დაიზაროს შრომა.

ს. ოირტევში ბლაღოჩინად არის მ. ლევ. ფილიშვილი, რომელზედაც, სამწუხაროდ, იმას ვერ ვიტყვით, რაც ვსთქვით პირველზე.

საზოგადოდ მღვდლები უნდა ეცადნენ გავლენა მოიპოვონ ხალხში, თორემ შემდეგში ხალხიც არაღ ჩააგდებს თავის სულიერ მამებს. აი მაგალითი: მე მომიხდა ყოფნა ბორის მაზრის ოსეთს ს. სუაჩხურში. აქ თურმე ერთ ოსს დაუბარებია რამდენიმე დღის წინედ მღვდელი, რომ საფლავი ეკურთხებინა, დანიშნულ დროზე; ერთ საღამოს, მღვდელი მ. ჩ—აძე მობრძანდა იმ სოფელში (უნდა ვსთქვათ, რომ მ. ჩ—ძე შორს იდგა იმ სოფლიდამ), მაგრამ ოსმა უთხრა: „წადი ღდელო და მერე მოდი, ეხლა არა ცალიან, ხალ ღღეობა გაქს!“ რასაკვირველია მღვდელიც ძალა-უნებლიედ დაბრუნდა შინ!...

მატერიალური მდგომარეობა ოსეთის სამღვდელოებისა ამას წინედ გაუმჯობესა კავკასიაში მართლ-მადიდებელ სარწმუნოების აღმადგენელ საზოგადოებამ და კარგ მდგომარეობაშიაც არის!...

გ. ჩოჩიშვილი.

სხვა და სხვა ამბები და შენიშვნები.

შარსულ წელში ბ. ცაგარელი იყო გაგზავნილი წმიდა ადგილებში: იერუსალიმში, სინას მთაზე და სხვ. ქართული ხელნაწერების გამოსაკვლევად. ბ. ცაგარელმა მრავალი ქართული ხელნაწერები ნახა სინას მთაზე და სხვა ადგილებშიდაც, რომელიც წარუდგინა პალესტნის საზოგადოებას, დაარსებულს პეტერბურღში. ეხლა, როგორც ისმის, განზრახვა აქვსთ უფრო დაწვლილებითი გამოკვლევა მოახდინონ ამ წმიდა ადგილებში და მთელი კამისია იქმნება გაგზავნილი.

***

ჩამოვიდა უკაზი უწმიდესი სინოდისა, რომლის ძალითაც ოთხ კლასის კურსის შესრულების შემდეგ ყველა მოწაფენი ატესტატებით უეგზამენოთ იქმნებიან მიღებულნი სასულიერო სემინარიაში, მაგრამ მიღებულნი იქმნებიან მარტო ისინი, ვინც კარგად ეგზამენს დაიჭერს ოთხი კლასის კურსის შესრულებისას.

***

მრავალმა პირებმა განაცხადეს ჩვენთან სამღურავი ბ. Ია. ფ—ზე, რომ ქუთაისის საეკკლესიო სანთლის დუქანში სანთელს ვეღარ შოვობენ. ორ-სამჯერ მისულან და ყოველთვის იმას ეუბნებიან: გამოწერილი გვაქს მოსკოვიდამ სანთელი და ჯერეთ არ მიგვიღიაო. ჩვენ გვინდოდა შეგვეტყო ამ სამღურავის საფუძვლიანობა და, სამწუხაროდ, ნამდვილ დავრწმუნდით, რომ სანთლის დუქანში სანთელი სრულებით აღარ არის, რომ ყველა მთხოვნელები დააკმაყოფილონ...

ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა.

„დროებაში“ ვკითხულობთ შემდეგ ამბავს შესახებ ბ. ცაგარელის მოგზაურობისა სინას მთაზე ქართული ხელ ნაწერების გამოსაკვლევად: ამ დღეებში მომხდარა პეტერბურგში ობერ-პროკურორის პობედონოსცევის სადგურში სხდომა პალესტინის საზოგადოებისა თავმჯდომარეობით დიდის მთავრის სერგეი ალექს.—მიხს. რომელზედაც ბ. ა. ცაგარელს მოუხსენებია თავის მოგზაურობის ამბავი სინაიზედ და პალესტინაში. ბ. ცაგარელს უამბნია, თუ როგორ საძნელოა მოგზაურობა სინაის ნახევარ-კუნძულზედ და აუწერია დაწვრილებით სინაის მონასტერი, აშენებული მეექვსე საუკუნეში, როგორც ანიშნებს ზედ-წარწერა შესავალ კარებზედ. ამ მონასტერში თურმე მრავალი ძველი ნივთეულობაა. მონასტრის წიგნთა საცავში ბ. ცაგარელს უნახავს მარტო ქართული ხელ ნაწერი 88. განსაკუთრებით სასულიერო შინაარსისა და ძვირედ სრულიად უცნობი. მათ შორის შესანიშნავია თურმე ფსალმუნი VI—VII საუკუნისა პაპირუსზე დაწერილი. დანარჩენ ხელ-ნაწერებ შორის 66 პერგამენტზეა. ყველა ამ ხელ-ნაწერებისათვის ბ. ცაგარელს დაწვრილებითი კატალოგი შეუდგენია. პალესტინაში უნახავს ბევრი ძველი ქართული მონასტერი, ეხლა მეჩეთებად გადაქცეულნი. მათში უპოვნია 138 ხელ-ნაწერი და გადმოუღია 32 სურათი ქართველ მეფეთა და სასულიერო პირთა და ცხრა ამ სურათთაგანი უჩვენებია სხდომაზე დამსწრეთათვის. ბ. ცაგარელს თვისის ფრიად მძიმე შრომისათვის მიუღია მადლობა დიდის მთავრისაგან.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი სარწმუნოებისა და კეთილ-ზნეობისა.

სიტყვა

ახალს 1884 წელსა, თქმული ქუთაისის სობოროსა შინა ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ.

> ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ. (მათე ვ, ლბ).

ზღვეს, ჩვეულებისამებრ, ყოველნი კაცნი მიულოცავენ ერთმანეთს ახალ წელს და ისურვებენ ერთმანეთისათვის ახალს ბედნიერებას და ახალა სიხარულს. ბედნიერება, კეთილ-წარმატება, სასიხარულო დღეები—აი რას ელტვიან ყველანი და რას ისურვებენ ერთმანეთისათვის აკვნიდგან თვით საფლავამდინ. ესრეთი მისწრაფება კაცთა ბედნიერებისადმი არის თვით ბუნებრივი და კანონიერი მოთხოვნილება. კაცის ბუნება უნებლიავად ერიდება მწუხარებასა და ეძიებს ბედნიერებას. ეჰერთსაც წვალებისთვის კი არ შეუქმნია კაცი, არამედ ბედნიერებისა და სიხარულისათვის. მაგრამ, კაცთა ახირებული წარმოდგენა აქვსთ ბედნიერებაზე. მსგავსად ძველთა კერპთ-მსახურთა, ჩვენ დროშიაც, უმეტესი ნაწილი ხალხისა წარმოიდგენს თავის ბედს რაღაცა კაცის სახედ, რომელიც დადის კაცთა შორის თვალახვევული და, ვისაც შემთხვევით მიადგება, მას მიანიჭებს ყოველივე ბედნიერებას. არა, ძმანო ქრისტიანენო, ჭეშმარიტი ბედნიერება არ მიენიჭება კაცსა შემთხვევით, უმიზეზოდ, ის, თითქმის, ყოველთვის შედეგია მრავალ-მრომათა და მოღვაწეობათა.

ჩაც გინდა ილაპარაკონ კაცთა ამის წინააღმდეგად, მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ბედნიერება ხშირად არის ჯილდო კაცის კეთილ-მოქმედებისა, მაგრამ კაცნი შემცდარნი არიან, როდესაც გარეგან და ნივთიერ წარმატებაში ხედავენ თავის ბედნიერებას, ვინაიდგან ერთი მხოლოდ გარეგანი ბედნიერება და ნივთიერი სიკეთე არ შეადგენს კაცის ბედნიერებას. ერთი უბრალო, მაგრამ გონიური რუსული ანდაზია, რომ საშვალ ოქროსაგანაც ცრემლი მოსდის კაცსა. როდესაც კაცის სული არ არის დაწყნარებული, როდესაც კაცის გული სკდება სხვა-და-სხვა ცუდთა ვნებათაგან, მაშინ არა ვითარი ქვეყნიურ დიდებას არ შეუძლია მიანიჭოს კაცსა კმაყოფილება და ბედნიერება.

ჭეშმარიტი გზა, რომელითაც კაცს ძალ-უძს შესაძლებელი ბედნიერება მოიპოვოს ქვეყანაზე, ნაჩვენებია ზემო მოყვანილ ჩაცხოვრის სიტყვებში: ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ეჰვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ (მათ. ვ, ლბ.) ე. ი. ეცადეთ უწინარეს ყოვლისა, რომ სულთა შინა თქვენთა დაარსდეს სასუფეველი ეჰვთისა, შეიქმნენით ძენი სასუფეველისა ეჰვთისა, სცანით სიმართლე ეჰვთისა და ძეიყვარეთ იგი და მაშინ ყველა დანარჩენი, ე. ი. მშვიდობა, სიხარული და ყოველივე, რაიცა არის საჭირო კაცისათვის ქვეყანაზე, ე. ი. საჭმელი, სასმელი, ტანისამოსი და სხ. თავისთავად მოგენიჭება თქვენ.

ხულ უბრალო და მოკლე მოფიქრება მიიყვანს კაცს ამ დასკვნამდის. მართლა რა აბრკოლებს უფრო კაცის კეთილ-დღეობას ქვეყანაზე? სისუსტე, ბიწიერება, ვნება, კაცისაგან და მათგან წარმოდგენილი: სიღარიბე, ავათ-მყოფობა, მტერობა და შური ერთმანერთში. ერთი უდიდესი უბედურებათაგანი, რომლებიც არღვევენ კეთილ-წარმატებას მრავალთა კაცთასა, არის სიგლახაკე და სიღარიბე. ზარნა თვით კაცნი არიან ხშირად მიზეზი სიღარიბისა თავისი სიზარმაცით, ცუდი ხარჯით და თავისი ბიწიერი ცხოვრებით. მეორე უბედურება, შემუსრავი ხალხისა, არის ავად-მყოფობა და უდროო დროს სიკვდილი. მაგრამ განა არ მოხდება აქაც ხშირად, რომ თვით კაცი თვისი ურიგო და არა ზომიერი ცხოვრებით არღვევს თავის ტანის სიმრთელეს და იწვევს უდროო სიკვდილს? ბოლოს, სიღარიბისა და სნეულებათა უარესად თვითონ კაცნი ღუპვენ თავის თავს ერთმანეთის მტრობით და შურით. მაგრამ ყველანი, უმთავრესნი მიზეზნი ხალხთა უბედურებისა, შემცირდებიან და კიდეც განჰქარდებიან, თუ თვითეული კაცის ანუ მთელი საზოგადოების სულში დამყარდება სასუფეველი ეჰვთისა, ე. ი. სიმართლე, მშვიდობა და სიყვარული. შეიძლება ამაზე გვითხრან: გარდა იმ უბედურებათა, რომელნიც თვით კაცისაგან წარმოსდგებიან, არის კიდევ მრავალი სხვა მოულოდნელი უბედურება, რომლებიც კაცს ცხოვრებაში შეეხებიან. ეს მართალია! და ნეტა იმას, ვინც მამაცად აიტანს და სულით არ დაეცემა. არამედ მეცადინობს, რომ ყოველთა უბედურთა შემთხვევათაგან გამოიტანოს რაიმე ზნეობითი სარგებლობა. მაგრამ ვის უფრო შეუძლია ასე მოიქცეს?

იმას, რომლის სულშიაც დამკვიდრებული არის სასუფეველი ᲘᲕთისა, რომელიც, სიტყვისა-მებრ მოციქულისა, არის: ჭეშმარიტება, მშვიდობა და სიხარული სულისა მიერ წმიდისა.

Ჭართლა, ბედნიერება არ არის რაიმე გარეგანი კაცისა; ის არის მისი შინაგანი მშვდობიანი, მხიარული და მხნე სულის მდგომარეობა. და ამისთანა სულის მდგომარეობა შესაძლებელია კაცისათვის მაშინ, როცა კაცის სინიდისი წმიდა და დამშვიდებული არის. ᲐᲛიტომაც ვსთქვით ჩვენ ზემოთ, რომ ბედნიებება და ჩვენი წარმატება ვერ მოგვანიჭებს ჩვენ ნამდვილსა ბედნიერებასა. მართლა, ყოველთვის იყო მრავალნი პირნი და ჩვენს დროში უფრო მომეტებულია, რომლებიც თავის-თავს ნამდვილ ბედნიერ კაცად სთვლიან მაშინ მხოლოდ, როცა შეუძლიათ საკმაოდ დაკმაყოფილონ თავიანთი სხეულის პირუტყული მოთხოვნილებანი და ამის გარდა სხვაზე აღარას ფიქრობენ. მაგრამ ამისთანა ბედნიერება, ჩვენის აზრით, შეეფერება მარტო პირუტყვთა და არა გონიერთა არსებათა. კაცს, რომელიც მთლად არ ემორჩილება თავის პირუტყვულს მოთხოვნილებასა, ყოველთვის აქვს ერთი რამე საგანი, უმაღლესი მიზანი, რომელზედაც მისი აზრი და გონება არის დამყარებული და სულიერი და ფიზიკური მისი ძალა ეძიებს რამე მიმზიდველ სამოქმედო ასპარეზს. და ეს იქმნება დანერგვა და აღორძინება სულთა შინა ჩვენთა ᲘᲕთის სასუფეველისა, ხოლო აქ საჭიროა მეცადინეობა, რათა გავსწმინდოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი სული, განვაშოროთ მისგან ყოველივე სიწამხთრე, ცოდვა, მივაჩვიოთ ჩვენი სული და გული უმაღლესს ლტოლვილებას. Ერთი სიტყვით, მიუახლოვდეთ ᲘᲛერთსა, ვიცხოვროთ მასთან.

Წორციელნი წრთვნა (ხორცის მოფერება) ამბობს მოციქული პავლე, მცირედ სასარგებლოა, ᲘᲕთის მსახურება ყოველ შემთხვევაში სასარგებლოა. Ყოველივე ქვეყნიური წარმატება მიანიჭებს კაცს მოკლე დროებითი სარგებლობას, ხოლო ᲘᲕთის მსახურება ყოველთვის და ყველგან სასარგებლოა. ᲘᲜ ქვეყანაზედაც მისცემს კაცს მშვიდობას და ბედნიერებას და მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვისაც მიანიჭებს მას საუკუნო ნეტარებას.

ᲫᲛანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, ჩვენ ყველანი, ყოველ დღეს ვევედრებით ᲘᲛერთსა: „მოვედინ სუფევა შენი“. გარნა ვსთხოვთ რა ᲘᲛერთს სიტყვითა, ჩვენ საქმითაც უნდა ვსცდილობდეთ მოსვლას და წარმატებასაც მისსა ქვეყანაზე. მაგრამ ვინ უფრო ვალდებულია ჩვენ შორის, განსაკუთრებით, მოეხმაროს ამ საქმეს? ჩვენ, ნასწავლნი და განათლებული პირნი, უმეტესად ისინი, რომელნიც მსახურებენ ᲘᲛერთსა და მეფესა, რომელნიც სდგანან საზოგადოების წინ და რომელნიც იცვენ საზოგადოების სულიერთა და ნივთიერთა სარგებლობათა. მეტად დიდია ჩვენი პასუხის-გება ᲘᲕთის წინაშე, განსაკუთრებით ეხლანდელ დროში, როდესაც ცხადად ინიშნება საზოგადო ზნეობითი და გონებითი რყევა და არეულობა. მთელი სახელმწიფოის ცხოვრებაში ამისთანა სამწუხარო მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ ეხლა ვხედავთ, დიდი ხანია არ უნახავს კაცობრიობას ქვეყანაზე. ᲧᲝველთვის ყოფილან ქვეყანაზე: ქურდნი, მცარცველნი, კაცის მკვლელნი, მაგრამ არასოდეს არ უნახავსთ თვით ველურ ხალხთა შორის, რომ ისინი შეერაცხოთ არა დამნაშავედ, ტაში დაეკრათ მათთვის და პატივი მიეცათ. მაგრამ რას ვხედავთ ეხლა ჩვენ? დიდი ქალაქების საზოგადოება ამისთანა დამნაშავეთა არა თუ ამართლებსთ, არამედ ტაშს უკრავს. მამის მკვლელთა, საზოგადოების ფულების მცარცველთა და სხვა დამნაშავეთა პატივით მიიღებენ. ᲐᲛისთანა საზოგადო ველური მოვლინებათა დროს, ყველანი, რომელთა გულშიც კიდევ დარჩა ცოტაოდენი პატივისცემა კაცის ღირსებისა, უნდა აღსდგეს დასაცველად სიმართლისა და კეთილისა, დასაცველად განხრწნილთა არა კეთილთა პირთაგან. სიტყვით და საქმით უნდა აღუდგეთ წინ ამისთანა სიმართლის დამაბნელებელ და დამამცირებელთა მოვლენათა, ვიდრემდის არ გამქრალა ჩვენში უკანასკნელი ნაპერწკალი ᲘᲕთის ჭეშმარიტებისა და მამულის სიყვარული, რომელიც განათლებული Ევროპის წინაშე დამდაბლებულია და დამცირებული საოცარი მოქმედებაებით. ᲐᲛინ.

წმიდა მოციქული ანდრია პირველ-წოდებული.

Წმიდა მოციქული ანდრია იყო ძმა პეტრე მოციქულისა ქალაქ ბეთსაითიდამ; მოციქული ანდრია იწოდება პირველ-წოდებულად მისთვის, რომ ის იყო პირველად მოწოდებული ᲝᲣფლისაგან; პირველად ის იყო იოანნე ნათლის-მცემლის მოწაფე. ერთ დროს იოანნე ნათლის-მცემელმა იხილა ᲘᲔსო Ქრისტე მიმა-

ვალი და უთხრა თავის მოწაფეთა: „აჰა ტარიგი ღმრთისა.“ გაიგონა თუ არა ეს სიტყვები წმიდა ანდრიამ, დასტოვა იოანნე ნათლის-მცემელი და გაჰყვა უკან იესო ქრისტეს. იესო ქრისტე მიუბრუნდა და ჰკითხა მას: „ვისა ეძიებ?“ ანდრია მოციქულმა მიუგო მას: „მოძღვარ! სად იმყოფები?“ იესო ქრისტემ მიუგო მას: „მოვედ და იხილე.“ ამიერიდგან წმიდა ანდრია მოციქული დარჩა იესო ქრისტესთან.

ანდრია მოციქულმა ნახა თავისი ძმა სიმეონი და უთხრა მას:

—„მე ვიხილე მესსია“ და მიიყვანა ისიც იესოსთან. ერთხელ ანდრია და სიმეონი თევზაობდნენ გალილიის ზღვაში, იესო ქრისტე მიუახლოვდა მათ და უბრძანა:

„მოდით ჩემთან, მე გაგხდით თქვენ მესათხევლედ კაცთა.“

მოციქულებზე სულის წმიდის გადმოსვლის შემდეგ წმიდა მოციქულს ანდრიას შეხვდა წილში ღმრთის სიტყვის ქადაგება ბითვინიის მხარეებში, ხალკიდონიაში, ვიზანტიაში, მაკედონიაში და დუნაიამდე; ჰქადაგებდა იგი თესალონიაში, ელლადაში და აქაიას მხარეში; ჰქადაგებდა ტრაპიზონში, სინობში. ყველგან სდევნიდენ და აწვალებდენ მას, მაგრამ ღმრთის შეწევნითა გადარჩებოდა ტან მრთელად. აქედამ წავიდა საქადაგებლად სხვა და სხვა მხარეებში; ყველგან სტოვებდა ხელ-დასხმულ მღვდლებსა. ანდრია მოციქული ჰქადაგებდა საქართველოს მხარეებში; საქართველოს მხარიდგან წავიდა ხერსონეთით რუსეთის მხარისაკენ და კიევში აღმართა წმიდა ჯვარი და უწინასწარმეტყველა რუსეთს მომავალი განათლება სარწმუნოებითა.

ბოლოს აქაიაში, ქალაქს პატროსში, წმ. მოციქული ანდრია დაბინავდა ერთს პატროსანს მოქალაქე სასიასთან, რომელიც განჰკურნა სასიკვდილო ავათმყოფობისაგან და მრავალის სასწაულებით მოაქცია ყველა ამ ქალაქის მცხოვრებლები.

ამ ქალაქის მმართველი ეპატი, რომლის ცოლი წმ. ანდრია მოციქულმა განჰკურნა და მოაქცია, განურისხდა მას და უბრძანა წმ. მოციქულის დაჭერა და საპატიმროში ჩაგდება.

შეკრებულმა ხალხმა მოახდინა არეულობა და მოინდომეს მმართველის მოკვლა და წმ. მოციქულის ანდრიას განთავისუფლება, მაგრამ ანდრიამ უთხრა მათ:

—„ნუ მოახდენთ არეულობას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სახელისათვის, რომელმაც დაგვიტევა ჩვენ მოთმინება და ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია საყვედური, როდესაც ის სასიკვდილოდ მიჰყავდათ; დაწყნარდით თქვენ და იყავით სრულებით მშვიდნი, ნურას დაუმლით ჩემს წვალებას, მხოლოდ იყვენით მზათ, როგორც ქრისტეს მხედარნი მოითმინოთ ყოველ-გვარი წვალება ქრისტეს სახელისათვის

ასე გაატარა მთელი ღამე წმიდა ანდრია მოციქულმა, ასწავებდა რა ხალხს მოთმინებას და ამტკიცებდა მათ ჭეშმარიტს სარწმუნოებაში.

მეორე დილას, როდესაც წმიდა ანდრია მოიყვანეს სამსჯავროში, მმართველმა ჰკითხა მას:

—„მოიფიქრე შენ თუ არა, რომ ააშორო შენი თავი ამ წვალებას და ცეცხლს და იხარებდე ჩვენთან ერთად?“

—„შენთან ნეტარება და მხიარულება მე შემიძლია მხოლოდ მაშინ, მიუგო წმიდა ანდრიამ, როდესაც შენ ერწმუნები ქრისტეს და უარსა ჰყოფ კერპებს.

—დამანებე მე თავი, მიუგო მმართველმა, და ნუ ატყუებ ხალხს შენი ცრუ სწავლით, არამედ შესწირე მსხვერპლი ღმერთებს; თუმც

არ აღასრულებ ჩემს ნებას, მაშინ გაწვალებ შენ და ჯვარს გაცვამ.

ანდრიამ მიუგო:

„გამიგონე მე მსახურსა და მოციქულსა უფლისა ჩემისა იესო ქრისტესას; მე მინდა, რომ შენ გასწავლო ჭეშმარიტი სარწმუნოება, რათამცა თაყვანი სცე შენ ღმერთსა, რომელიც არს ცათა შინა; მაგრამ რადგანაც შენ აქამომდე იმყოფები უმეცრებაში და ჰფიქრობ, რომ მე მეშინიან სასჯელისა და წვალებისა, მაშ გამოიგონე უსასტიკესი სასჯელი ჩემთვის და იცოდე, რომ ყოველგვარ წვალებას მოვითმენ მეუფისა და ღვთისა ჩემისათვის.“

დაუწყეს მას ცემა ისე, რომ ღედა მიწა შეიღება მისის სისხლითა; შემდეგ მმართველმა ხელ-ახლა დაუწყო მას კიდევ შეგონება.

—გამიგონე მე ანდრია, უთხრა მან, ნუ ღვრი ტყუვილ უბრალოდ შენ სისხლს, თორემ ჯვარს გაცვამ.

—მე ქრისტეს ჯვარის მონა ვარ, მიუგო მოციქულმა ანდრიამ, და ჯვარზე სიკვდილი უფრო მსურს, არა თუ მეშინია მისი; მაგრამ მე უფრო ვსწუხვარ შენს დაღუპვას, ვიდრე ჩემს მწუხარებას; აქაც შეგიძლია განშორდე საუკუნო წვალებას და ახლა მაინც, როდესაც დარწმუნდი ჩემს მოთმენილობაში, ერწმუნო ქრისტეს.

—გაჯავრებულმა მსაჯულმა ბრძანა, რომ ჯვარზე ეცვათ ანდრია და, როდესაც საწამებლად მიჰყავდათ, ხალხი იძახოდა:

—„რა შესცოდა ამ მართალმა კაცმა და მეგობარმა უფლისამ, რომ ჯვარზე უნდა აცვან? მაგრამ ანდრია ეხვეწებოდა ხალხს არაფერი არეულობა მოეხდინათ და არ დაებრკოლებიათ მისი ტანჯვა.

—როდესაც შორიდგან შეხედა ანდრიამ მისთვის მომზადებულს ჯვარს, სთქვა:

—იხარებდე ჯვარო, ქრისტეს ხორცით განათლებულო, მოვდივარ კადნიერებით და სიხარულით შენთან და შენც სიხარულით და მხიარულებით მიმიღე, მე ყოველთვის მიყვარდი შენ და ვეძიებდი დაუცხრომელად; მიმიღე ამ ერთაგან და მიმეც ჩემს მოძღვარსა. გაიძრო ტანისამოსი და მისცა თავი მწამებელთა ხელში და მათ აცვეს იგი ჯვარსა ზედა და მიაკრეს მას ზედა ხელითა და ფეხითა.

გარეშემო მდგომი ერნი, რიცხვით ოცი ათასამდე, რომელთა რიცხვში იყო ძმა მწამებლისა სტრატოკლი ყვიროდნენ: უმართლოთ იწამება კაცი ესე. წმიდა ანდრია ჯვარზე დამოკიდებული ორი დღე ასწავებდა ხალხს მოთმინებაზე და ამტკიცებდა მორწმუნეთა. აღელდა ხალხი და მოითხოვა წმიდა ანდრიას ჯვარიდამ გარდმოხსნა. მსაჯული შეშინდა და მოინდომა ჯვარიდამ ჩამოხსნა ანდრიასი და წავიდა მისკენ. წმიდა ანდრიამ იხილა რა მსაჯული მიმავალი მისკენ ჰკითხა მას: „რისთვის მოდიხარ შენ აქ? თუ გსურს ერწმუნო ქრისტეს გაგეხსნება შენ მადლის კარები და თუ მოხველ მისთვის, რომ ჯვარიდამ ჩამომხსნა არა მსურს მე ესე; მე ვხედავ ჩემს მეუფეს და თაყვანს ვსცემ მას; უმჯობესია მოიფიქრო შენ თავზე და სანამ დრო გაქვს ეცადო მოხვიდე გონზე.

მოსამსახურენი და ბევრნიც კიდევ სხვანი მივიდნენ მასთან ჩამოსახსნელათ, მაგრამ იგი მიიქცა ღვთისადმი ლოცვითა და აღვიარა: უფალო იესო ქრისტე—ნუ მიმიყვან მე რათა ცოცხალი ჩამომხსნან ჯვარიდგან, არამედ მიმიღე მე, მოძღვარო ჩემო! და მიიღე სული ჩემი მეუფეო იესო ქრისტე უწინარეს ვიდრე

მე ჩამომხსნიდნენ ჯვარიდგან. ასე ლოცვილობდა წმიდა მოციქული ანდრია და უეცრათ ელვის მგზავსათ გაანათლა ციურმა სინათლემ იგი ისე, რომ კაცის თვალს არ შეეძლო მისი შეხედვა. ეს ციური მოვლენა გაგრძელდა ნახევარ საათს.

Ⴀმ დროს Ⴖმერთმა მიიღო სული მართლისა. მწამებლის ცოლმა, რომელიც ერწმუნებოდა Ⴕრისტეს, დაინახა თუ არა, რომ წმიდა ანდრიამ საუკუნოდ განუტევა სული და მიაბარა Ⴓფალსა, ჩამოხსნა ჯვარიდგან და დიდის პატივით შემურვილი სურნელებითა ჩაასვენა კუბოში და მიაბარა საფლავს.

Ⴀშფოთებულ ხალხზე მსაჯულს გაჯავრებულს უნდოდა დაესაჯა ხალხი, მაგრამ უეცრად შუა ქალაქში დაეცნენ მას ბოროტნი სულნი და აწამეს იგი სასიკვდინედ.

Ⴐამოდენიმე წლის შემდეგ წმ. მოციქულის ანდრიას ნაწილები გადმოტანილ იქმნა კონსტანტინოპოლში და დასვენებული წმ. მოციქულების ტაძარში წმიდათა მახარებელთა და მოციქულ ტიმოთეს ნაწილებთა შორის ერთად, სადაც აქამდისაც ეძლევათ მათგან მკურნალება ყოველთა სარწმუნოებით მიმსვლელთა და თაყვანის მცემელთა.

რიცხვი.	დღე.	კალენდარული ცნობები. იანვრის თვისა 15—31 რიც.
15	კვირ.	ლა კვირიაკე. ႪႡ. საცისკრო სახარება Ⴈ ხმა Ⴅ. ღირსისა მამისა ჩვენისა პავლე თებელისა და იოანნე გლახაკისა.
16	ორშ.	თაყვანის ცემა პატიოსნისა ჯაჭვისა წმ. და ყოვლად ქებულისა პეტრესი.
17	სამშ.	ღირსისა და ღმერთ შემოსილისა მამისა ჩვენისა დიდისა ანტონისა.
18	ოთხ.	წმ. შორის მამათა ჩვენთა ათანასი და კირილე ალექსანდრიის მთავარ ეპის.
19	ხუთ.	ღირსისა მამისა ჩვენისა მაკარი მეგვიპტელისა და ღირსისა მამისა ჩვენისა ანტონი მარტო მყოფელისა.
20	პარას.	ღირსისა და ღმერთ შემოსილისა მამისა ჩვენისა დიდისა ევთიმისა.
21	შაბ.	ღირსისა მ. ჩვენისა მაქსიმე აღმსარებელისა
22	კვირ.	კვირიაკე ႪႢ. საცისკრო სახარება ႨႠ. ხმა Ⴡ. წმ. მოციქულისა ტიმოთესი.
23	ორშ.	წმ. მღვდელ-მოწამისა კლიმისა.
24	სამშ.	ღირსისა დედისა ჩვენისა ქსენისი.
25	ოთხ.	წმიდათა შორის მამისა ჩვენისა გრიგორი კონსტანტინო-პოლელ მთავარ ეპისკოპოსისა.
26	ხუთ.	ღირსისა მ. ჩვენისა აქსენოფორესი. ამასვე დღესა ხსენება წმ. კეთილ მსახ. საქართ. მეფისა დავით მესამისა აღმაშენ. წოდ.
27	პარას.	აღმოყვანება ნაწილთა წმ. შორის მ. ჩვენ. იოანნე ოქროპირისა.
28	შაბ.	ღირსისა მამისა ჩვენისა ეფრემ ასურისა.
29	კვირ.	კვირიაკე ႪႣ. საცისკრო სახარება Ⴀ. ხმა Ⴆ. წმ. მღ. მოწ. ეგნატი ღმ. შ.
30	ორშ.	წმ. მღვდ. მოწ. იპოლიტე რომთა პაპისა და წმ. შორის მამათა ჩვენთა ვასილი დიდისა და გრიგორი ღვთის მეტყვ.
31	სამშ.	წმ. და საკვირველ მოქმედთა უვეცხლოთა კვირის და იოანეს.

განცხადებანი.

მიიღება ხელის მოწერა ქართულს სასულიერო გაზეთს „მწყემსზედ“

გაზეთი გამოვა ორ ბეჭდის ქაღალდის ფურცელზე.

გაზეთის ფასი ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—**ხუთი მანეთი**, ნახევარი წლისა—**სამი მანეთი**. შეიძლება მარტო ოკდომბრის და ნოემბრის თვეების №№ დაბარებაც.

ხელის მოწერა გაზეთზე მიიღება ქ. ქუთაისში: ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს მსტატე ბესარიონის ძეს ღამბაშიძესთან.

ქ. ტფილისში: საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორის წევრს არხიმანდრიტ გრიგორისთან.

გაზეთის დაბარება, წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლია ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლებში. გაზეთის დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

ქართული გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში დაბა შორაპანს (ყვირილაში). Въ мѣстечко Шорапанъ (Квирилы) въ редакцію газеты „МЦКЕМСИ“.

მიიღება ხელის მოწერა

მომავალ **1884** წლისათვის გაზეთს

დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, „დროების“ რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ***въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.***

ფასი ხელის-მოწერისა:

წლით (12 თვით)	9 მან.	6 თვით	5 მან.
11 თვით	8 მ. და 50 კ.	5 თვით	4 მ. და 50 კ.
10 თვით	8 მ.	4 თვით	4 მ.
9 თვით	7 მ. და 50 კ.	3 თვით	3 მ.
8 თვით	7 მ.	2 თვით	2 მ.
7 თვით	6 მ.	1 თვით	1 მ.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

ვიღებ

როგორც ქალაქებიდამ ისე სოფლებიდამ ეკლესიის **ქანქელებს** და **კიოტებს** გასაკეთებლად ყოველ საქმეს შევასრულებ რიგიანათ და პირიანათ.

ჩემი ქარხანა იმყოფება ქ. ტფილისში საპერნის ქუჩაზედ, ალექსანდროვის სახლში, № 8.

განქელისა და მებელის ოსტატი

დავით ვიგაური.

ქუთაისში ვასილ ნიკოლაძის

„პატარა მაღაზიაში“

ისყიდება

შოთა რუსთველის ალებასტრის სახე

ფასი 1 მან. და 25 კ.

Дозв. цензурою Кутаисъ, 21 Января 1884 г.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.